ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის

მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს საქმეთა მმართველობის გამოცემა

1935 წ. მარტის 20. № 7 ტფილისი.

ს ი ნ ა ა რ ს ი

სახელმწიფო წყობილება.

34. სასოფლო საბჭოებთან მეცხოველეობის სექციებისა და სოფლად ზოოვეტრწმუნებულთა ინსტიტუტის მოწყობის შესახებ.

სახელმწიფო მმართველობა.

35. დაუდევრობის გამო პასპორტის დაკარგვისათვის პასუხისმგებლობის შესახებ.

მ რ ე წ ვ ე ლ ო ბ ა

36. „სარეწაო კოოპერაციის საურთიერთო დაზღვევისა და საურთიერთო „დახმარების საღაროების თაობაზე" გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების მე-7 მუხლის „თ" პუნქტისა და მე-17 მუხლის შეცვლის შესახებ.

მიწა, ტყე, წყალი. სოფლის მეურნეობა.

37. „1935 წლის გაზაფხულზე მოსალოდნელ წყალდიდობასთან ბრძოლის ღონისძიებათა თაობაზე" გამოცემული საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წლის იანვრის 17-ის დადგენილების დამატების შესახებ.

ვაჭრობა. მომარაგება.

38. შორეული რაიონებიდან პურის გამოზიდვის შესახებ.

ფ ი ნ ა ნ ს ე ბ ი.

39. ადგილობრივი მრეწველობის სისტემის სატყეო მრეწველობის საწარმოთათვის სახელმწიფო ტყეებიდან თვითდამზადებისათვის გაცემული ზემდგარი ტყის ფასის გადახდის წესის შესახებ.

გ ა ნ ა თ ლ ე ბ ა.

40. საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის რეორგანიზაციის თაობაზე გამოცემული დადგენილების შეცვლის შესახებ.

41. საქართველოს სსრ ბუნებრივ სიმდიდრეთა დაცვისა და განვითარების შესახებ.

სისხლის სამართალი.

42. სისხლის სამართლის კოდექსის 63 მუხლისათვის შენიშვნის დამატების შესახებ.

43. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსისათვის 103-ა მუხლის დამატების შესახებ.

№ 7
ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელმწიფო წყობილება

34. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

046.1

სასოფლო საბჭოებთან მეცხოველეობის სექციებისა და სოფლად ზოოვეტრწმუნებულთა ინსტიტუტის მოწყობის შესახებ.

მეცხოველებისათვის ყოველმხრივი მომსახურეობის გაწევისა და მისი სწრაფი განვითარების უზრუნველყოფის მიზნით, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. მოწყობილ იქნეს თვითეულ სასოფლო საბჭოსთან, საქმეში სოფლის საუკეთესო აქტივის ჩაბმით, მეცხოველეობის სექცია, რომლის ამოცანასაც შეადგენს მოაწყოს დახმარება მეცხოველეობის მეურნეობებისათვის და კონტროლი გაუწიოს მეცხოველეობის განვითარებისათვის საჭირო საორგანიზაციო ღონისძიებათა ჩატარებას.

2. დაეკისროს მეცხოველეობის სექციას:

ა) მოაწყოს ფართო მასური ახსნა-განმარტებითი მუშაობა მთავრობისა და პარტიის მიერ მეცხოველეობის განვითარების სფეროში ჩასატარებელ ღონისძიებათა განხორციელებისათვის;

ბ) შეამოწმოს, როგორ არის მოწყობილი საქონლის ზოოვეტმომსახურეობა, და იხმაროს ღონისძიებანი მეცხოველეობის მეურნეობებისათვის დახმარების გასაწევად მათ მიერ, დადგენილი წესების თანახმად, საჭირო ღონისძიებათა ჩატარების საქმეში;

გ) მობილიზებულყოს კოლმეურნენი და ერთპიროვნული მშრომელი მეურნეობანი მეცხოველეობის სფეროში სასეზონო სამუშაოების ჩასატარებლად (თივის მოსავლის აღების კამპანია, სასილოსო კამპანია, საქონლის საკვები ბალახის თესვა და სხვა მისთ.) და უზრუნველყოს ამ სამუშაოების გეგმების შესრულება;

დ) გაუწიოს ზედამხედველობა საქონლის საკვების შენახვას და თავის დროზე მიზიდვას საქონლის სამყოფელ ადგილას, აგრეთვე საკვების რაციონალურად ხარჯვას;

ე) იხმაროს ღონისძიებანი საკვები რესურსების დამატებით მოპოვებისათვის სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე (რკო, წიწიბო, ბოსტნეულის, ბაღჩეულის, ბაღეულის და სხვა მისთ. ნარჩენი) და უზრუნველყოს ამ რესურსების მობილიზაცია და საესებით გამოყენება;

ვ) მოაწყოს დახმარება და ოპერატიული ხელმძღვანელობა ყველა კოლექტიურ მეურნეობაში მეცხოველეობის ბუდეების შექმნისათვის და აგრეთვე უსაქონლო კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ მშრომელ მეურნეთა მიერ საქონლის, ფრინველისა და ფუტკრის შეძენისათვის;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზ) გამოარკვიოს სისტემატურად ის მიზეზები, რაც აბრკოლებს მეცხოვე-
ობის განვითარებას, და უზრუნველყოს ამ მიზეზების თავიდან აცილება (საქ-
ონლის სარეკი გზებისა და წასაძოებელი ადგილების უქონლობა, საქონლის სენი
და სხვა მისთ.);

თ) გაანაწილოს წესიერად საძოვრები მეცხოველეობის მეურნეობათა შო-
რის გრძელვადიანი სარგებლობისათვის: მოაწყოს საძოვრების რაციონალურად
გამოყენება და უზრუნველყოს მარტივ ღონისძიებათა ჩატარება საძოვრების პრო-
დუქტიობის გასადიდებლად;

ი) ჩაატაროს ღონისძიებანი დაგრილების კამპანიის უზრუნველსაყოფად
(საგრილობელი პუნქტების მოწყობა, გაუმჯობესებულ სანაშენო ცხოველთა გა-
მოზრდა და შეძენა სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე საგრილობელი კონტინგენ-
ტისათვის საჭირო რაოდენობით) და მოაწყოს ახალშობილ ცხოველთა მაქსიმა-
ლურად გამოზრდის საქმე;

კ) შეამოწმოს მეცხოველეობის სფეროში მომსახურე კადრები კოლექტიურ
მეურნეობებსა, სასაქონლო ფერმებსა და საბჭოთა მეურნეობებში და იხმაროს
ღონისძიებანი უვარგის მომუშავეთა კარგი და ნაცადი მომუშავეებით შეცვლი-
სათვის;

ლ) იხმაროს ღონისძიებანი სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქ-
ციის ჩაბარების გეგმების მთავრობის მიერ დადგენილ ვადებზე შესრულების
უზრუნველსაყოფად;

მ) გამოაშკარაოს და ამხილოს კულაკური და ანტისაბჭოთა ელემენტები,
რომელნიც მოსახლეობაში საქონლის თავიდან მოშორებისა და გაფანტვის პრო-
პაგანდას ეწევიან, და მოაწყოს მათ წინააღმდეგ ბრძოლა;

ნ) გაუწიოს ოპერატიული ხელმძღვანელობა მეცხოველეობის ხაზით მასური
კამპანიების ჩატარებას და განახორციელოს საამისო საორგანიზაციო ღონისძიე-
ბანი (კონკურსი, გამოფენა, გამოყვანა და სხვა მისთ.);

ო) მოაწყოს სასოფლო საბჭოში მეცხოველეობის მაჩვენებელთა ოპერატიუ-
ლი აღრიცხვა და წარუდგინოს ეს მაჩვენებლები სარაიონო ორგანოებს სადი-
რექტივო ორგანოების მიერ დადგენილი ფორმით და განსაზღვრულ ვადაზე.

3. მეცხოველეობის განვითარების ამოცანათა განსახორციელებლად მო-
წყობილ იქნეს სასოფლო საბჭოებთან სოფლის იმ აქტივისტთაგან, რომელთაც
მეცხოველეობის საქმე იციან, ზოოვეტრწმუნებულთა ინსტიტუტი; ამასთანავე,
20-25 კომლზე მიმაგრებულ უნდა იქნეს არა ნაკლებ ერთი რწმუნებულისა.

დაეკისროს ზოოვეტრწმუნებულთ პასუხისმგებლობა მუშაობისათვის მე-
ცხოველეობის იმ ნაწილზე, რომელიც მათზეა მიმაგრებული.

4. წინადადება მიეცეს ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური
ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს, სარაიონო აღმასრულებელ
კომიტეტებს და სასოფლო საბჭოებს ერთი თვის ვადაზე უზრუნველყონ მე-
ცხოველეობის სექციებისა და ზოოვეტრწმუნებულთა ინსტიტუტის მოწყობა.

5. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო მისარიატს წარუდგინოს ორი დეკადის ვადაზე საქართველოს სსრ სახალ. კომისართა საბჭოს პროექტი დადგენილებისა საქართველოს სსრ კანონმდებ. ბაში ამა დადგენილებიდან გამომდინარე ცვლილებათა შეტანის შესახებ.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **მ. ტოროშელი**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივნის მაგ. **კ. ბარბაქაძე.**

1935 წ. თებერვლის 20. №/190.
ტფილისი.

სახელმწიფო მმართველობა

35. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

დაუდევრობის გამო პასპორტის დაკარგვისათვის პასუხისმგებლობის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წლის ივლისის 27-ის დადგენილებას „საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ერთიანი საპასპორტო სისტემ. ჩატარების შესახებ" (საქ. სსრ კან. კრ. 1933 წ. № 18, მუხ. 246) დაემატ. მე-3[1] მუხლი შემდეგი შინაარსისა:

„3[1]. პასპორტის დაკარგვის ან მოტაცების შემთხვევაში მისი დაუდევ. შენახვის გამო, პასპორტის მფლობელს გადახდება ადმინისტრატიული წესი. ჯარიმა 100 მანეთის რაოდენობით, და ახალი პასპორტის მაგივრად იგი მი. ღებს დროებით მოწმობას".

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **მ. ტოროშელიძე.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივნის მაგ. **კ. ბარბაქაძე.**

1935 წ. თებერვლის 20. №/191.
ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ რ ე წ ვ ე ლ ო ბ ა

36. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

„სარეწაო კოოპერაციის საურთიერთო დაზღვევისა და საურთიერთო დახმარების სალაროების თაობაზე“ გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების მე-7 მუხლის „თ“ პუნქტისა და მე-17 მუხლის შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

„სარეწაო კოოპერაციის საურთიერთო დაზღვევისა და საურთიერთო დახმარების სალაროების შესახებ“ გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. ნოემბრის 22-ის დადგენილებაში (საქ. სსრ კან. კრ. 1933 წ. №-2 №-ი, მუხ. 31) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებანი:

1. მე-7 მუხლის „ა“ პუნქტი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

[7. სარეწაო კოოპერაციის საურთიერთო დაზღვევისა და საურთიერთო დახმარების სალაროს ამოცანას შეადგენს: . . . . .]

„თ) გამოიკვლიოს მუშაობის პირობები კოლექტივიზებულ წარმოებაში და იქონიოს სისტემატური მეთვალყურეობა, რათა საწარმონი ანხორციელებდენ შრომის დაცვის ტექნიკური უშიშროების და საწარმოო სანიტარიის ღონისძიებათ, აგრეთვე ანხორციელებდენ ქალთა და არასრულწლოვანთა შრომის დაცვის სპეციალურ წესებს, რისთვისაც სალაროები აარსებენ შრომის დაცვის საქმეთა რწმუნებულის თანამდებობას, რომლის უფლება-მოვალეობანი **განისაზღვრება** სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის მიერ, საქართველოს სსრ პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსთან, „სარეწაო კავშირთან“ და „საქტყემრეწ-კავშირთან“ შეთანხმებით, გამოცემული ინსტრუქციით“.

2. მე-17 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„17. სარეწაო კოოპერატიული ამხანაგობანი (არტელები) უხდიან სადაზღვეო გადასახადს სარეწაო კოოპერაციის საურთიერთო დახმარებისა და საურთიერთო დაზღვევის სალაროებს იმავე წესით, რაც დადგენილია სამეურნეო ანგარიშის საფუძველზე მოქმედ განსაზოგადოებული სექტორის საწარმოთა მიერ სოციალური დაზღვევის სალაროებისათვის სადაზღვეო გადასახდელის გადახდისათვის (სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. აგვისტოს 23-ის დადგენილება „სოციალური დაზღვევის გადასახდელის გადახდის წესის შესახებ“—სსრკ კან. კრ. 1931 წ. 54 №-ი, მუხ. 349).

ვადაზე გაუსტუმრებელი სადაზღვეო გადასახდელის გადახდევინების შესახებ. სარეწაო კოოპერაციის საურთიერთო დაზღვევისა და საურთიერთო დახმარების სალაროებს აქვთ იგივე უფლებანი, რაც სოციალური დაზღვევის სალაროებს.

სადაზღვეო გადასახდელის გადახდის წესების შეფარდებისათვის საჭირო ინსტრუქციას გამოსცემს სრულიად საქართველოს სარეწაო კოოპერაციის საბჭო, სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკთან, სრულიად საკავშირო სარეწაო კოოპერაციის საბჭოსთან და პროფესიონალურ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურ საბჭოსთან შეთანხმებით".

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **მ. ტოროშელიძე.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივნის მაგ. **კ. ბარბაქაძე.**

1935 წ. თებერვლის 20. №/185.

ტფილისი.

მიწა, ტყე, წყალი. სოფლის მეურნეობა.

37. დადგენილება ს კ.ს.

„1935 წლის გაზაფხულზე მოსალოდნელ წყალდიდობასთან ბრძოლის ღონისძიებათა თაობაზე" გამოცემული საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წლის იანვრის 17-ის დადგენილების დამატების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წ. იანვრის 17-ის დადგენილებას „1935 წლის გაზაფხულზე მოსალოდნელ წყალდიდობასთან ბრძოლის შესახებ" (კან. კრ. 1935 წ. № 3, მუხ. 14) დაემატოს მე-5 მუხლი შემდეგი შინაარსისა:

„5. წინადადება მიეცეს ამიერკავკასიის სატყეო მრეწველობის ტრესტს, მთავარ საკუროორტო სამმართველოს და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს უფასოდ მიაწოდონ წყალდიდობასთან ბრძოლის ადგილობრივ კომისიებს საჭირო ხე-ტყის მასალა".

საქ. სსრ. ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ბ. მდივანი.**

საქ. სსრ. ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ა. ქავთარაძე.**

1935. მარტის 2. № 257.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" 55 №-ში 1935 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაჭრობა. მომარაგება.

38. დადგენილება ს.კ.ს.

შორეული რაიონებიდან პურის გამოზიდვის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნეს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულის (საქართველოს სსრ-ში) და საქმარცვალდამზადების მიერ წარმოდგენილი კალენდარული გეგმა შორეული რაიონებიდან პურის გამოზიდვისა: ლაგოდეხის რაიონიდან—1,795 ტონისა, ახალქალაქის რაიონიდან—658 ტონისა, ახალციხის რაიონიდან—575 ტონისა, ლუქსემბურგის რაიონიდან—200 ტონისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქიდან—380 ტონისა, სულ 3,609 ტონისა (იხ. დანართი).

2. შორეული რაიონებიდან პურის გამოზიდვის დასაჩქარებლად პირველ რიგში ჩაბმულ იქნენ გამოზიდვის საქმეში ის კოლმეურნეობები, რომელთაც ჩააბარეს პური შორეულ პუნქტებში და მისცეს მიღების პუნქტს ვალდებულება ამ პურის გამოზიდვის შესახებ სადგურებთან არსებულ პუნქტებში.

3. დაევალოს იმ რაიონებში არსებული სამანქანო-სატრაქტორო სადგურებისა და საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს, სადაც არის შორეული ადგილებიდან გამოსაზიდი პური, მისცენ პურის გამოსაზიდად მათ განკარგულებაში ქონებული მთელი საზიდავი ტრანსპორტი, რისთვისაც სასყიდელი გადახდილ უნდა იქნეს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დაწესებული ტარიფით.

4. წინადადება მიეცეს სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეებს, მათი პირადი პასუხისმგებლობით, უზრუნველყონ შორეული ადგილებიდან პურის შეუფერხებელი გამოზიდვა დაწესებულ ვადებზე.

5. დაევალოს საქმარცვალდამზადებას დააწესოს სისტემატური კონტროლი, რათა სრულდებოდეს პურის გამოზიდვის ხუთდღიური დავალებანი, და აგრეთვე დააწესოს საამისო ხუთდღიური სატელეგრაფო ანგარიშგება—თვითეული რაიონისთვის ცალ-ცალკე.

6. წინადადება მიეცეს გორის, ბორჯომის და სიღნაღის რაიონების სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეებს, სადგურებთან და ლიანდაგებთან არსებული საწყობების მობილიზაციის გზით, უზრუნველყონ საქმარცვალდამზადების პუნქტები სასაწყობო სადგომებით გამოზიდული პურის დროებით მოსათავსებლად.

საქ. სსრ. ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **მ. ტოროშელიძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ა. ქავთარაძე.**

1935 წ. თებერვლის 15. № 175.

ტფილისი.

დანართი

კალენდარული გეგმა

შორეული რაიონებიდან პურის პროდუქტების გამოზიდვისა.

გამოგზავნის პუნქტების სახელწოდება	გამოზიდულ უნდა იქნეს ტონობით					მიღების პუნქტების სახელწოდება	გამოზიდვის კალენდარული ვადები ტონობით						
							თებერვალი			მარტი			
	ხორბალი	ქერი	სიმინდი	ჭვავი	სულ		მე-4 ხუთდღ.	მე-5 ხუთდღ.	მე-6 ხუთდღ.	1-ლი ხუთდღ.	მე-2 ხუთდღ.	მე-3 ხუთდღ.	მე-4 ხუთდღ.
1. ლაგოდეხი	1650	—	120	26	1796	წნორისწყალი, .	260	260	260	260	260	260	236
2. ახალქალაქი	500	150	—	8	658	ბორჯომი . . .	100	100	100	100	100	100	58
3. ახალციხე	525	30	—	20	575	„ . . .	80	80	80	80	90	90	75
4. სტალინირი	300	30	50	—	380	გორი . . .	60	60	60	60	60	60	20
5. ლუქსემბურგი . . .	200	—	—	—	200	სანდარი	50	50	50	50	—	—	—
სულ . . .	3175	210	170	54	3609		550	550	550	550	510	510	389

ეროვნული ბიბლიოთეკა
732.3

ფ ი ნ ა ნ ს ე ბ ი

39. დადგენილება ს.კ.ს

ადგილობრივი მრეწველობის სისტემის სატყეო მრეწველობის საწარმოთავის სახელმწიფო ტყეებიდან თვითდამზადებისათვის გაცემული ზემდგარი ტყის ფასის გადახდის წესის შესახებ.

„თვითდამზადებისათვის გაცემული ზემდგარი ტყის ფასის გადახდის“ შესახებ გამოცემული სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წლის იანვრის 3-ის დადგენილების (სსრკ კან. კრ. 1932 წ. № 1, მუხ. 3) შესაბამისად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაწესებულ იქნეს, რომ იმ ტყეზე, რომელსაც ამზადებენ ადგილობრივი მრეწველობის სისტემის სატყეო მრეწველობის საწარმოები და რომელიც გაიცემა ზემდგარად, უნდა იქნეს გადახდილი სამორე სასყიდელი.

2. ადგილობრივი მრეწველობის სატყეო საწარმოთა მიერ დამზადებული ხე-ტყის ფასის გადახდის ზემოაღნიშნული წესის შესაბამისად ამ საწარმოთა პროდუქცია დაიბეგროს ბრუნვის გადასახადით იმ განაკვეთის მიხედვით, რაც დაწესებულია სსრ კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატის 1932 წლის თებერვლის 15-ის დადგენილებით.

3. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს, საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, დააწესოს სახელმწიფო ტყეებში დამზადებული მერქნის სამორე ფასის გადახდის ვადები, საწარმოთა მიერ ამ მერქნისაგან დასამზადებელი პროდუქციის გამოშვების გეგმების შესაბამისად.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **მ. ტოროშელიძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **ა. ქავთარაძე.**

1935 წ. თებერვლის 26. № 129.
ტფილისი.

გ ა ნ ა თ ლ ე ბ ა

40. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის რეორგანიზაციის თაობაზე გამოცემული დადგენილების შეცვლის შესახებ.

714

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წ. მაისის 14-ის დადგე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნილებაში „საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის რეორგანიზაციის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1934 წ. მე-12 №-ი, მუხ.. 122) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. „ა“ კარს დაემატოს მე-6 პუნქტი შემდეგი შინაარსისა:

„5) საბიბლიოთეკო სამმართველო, რომელიც ანხორციელებს მასური და სამეცნიერო ბიბლიოთეკების ხელმძღვანელობას“.

2. „ბ“ კარის მე-2 პუნქტი ამოშლილ იქნეს.

3. „ბ“ კარის მე-5 პუნქტიდან ამოიშალოს სიტყვები: „საერთო განყოფილება“.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**
საქ. სსრ. ს.კ.ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **მ. ტოროშელიძე.**
სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივნის მაგ. **კ. ბარბაქაძე.**

1935 წ. თებერვლის 20. №/186
ტფილისი

916.4

41. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

საქართველოს სსრ ბუნებრივ სიმდიდრეთა დაცვისა და განვითარების შესახებ.

ვინაიდან ბუნების დაცვა სოციალისტური მშენებლობის პირობებში უნდა წარმოადგენდეს იმ ღონისძიებათა ერთიან სისტემას, რაც მიმართულია ჩვენი ქვეყნის ბუნებრივ სიმდიდრეთა დაცვის, განვითარებისა და თვისებრივი გაუმჯობესებისათვის სამეურნეო, სამეცნიერო და კულტურული ინტერესების თვალსაზრისით, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო, იმ პირობათა შექმნის მიზნით, რაც უზრუნველჰყოფს საქართველოს სსრ-ში ამ ამოცანათა გადაწყვეტას, ადგენენ:

კ ა რ ი I.

ბუნებრივ სიმდიდრეთა დაცვისა და განვითარების ხელისშემწყობი ორგანოები.

1. მოეწყოს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმთან ნაკრძალთა კომიტეტი.

2. ნაკრძალთა კომიტეტის ამოცანაა წარმართოს საერთოდ საქართველოს სსრ ნაკრძალთა მუშაობა, შეიმუშაოს საჭირო ღონისძიებანი ნაკრძალთა განვითარებისა და დაცვისათვის, გაუწიოს კონტროლი უწყებებისა და დაწესებულებების მუშაობას მათთვის გადაცემულ ნაკრძალთა მიმართ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. ნაკრძალთა კომიტეტს ეკისრება:

ა) გაუწიოს საერთო ხელმძღვანელობა საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მდებარე ყველა ნაკრძალის მუშაობას, გასცეს დირექტივები ნაკრძალთა განვითარებისა და დაცვისათვის საჭირო ღონისძიებათა განხორციელების შესახებ;

ბ) შეადგინოს და წარუდგინოს დასამტკიცებლად სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მქონე ნაკრძალთა სია, იმ სახელმწიფო ორგანოს აღნიშვნით, რომლის გამგებლობაშიაც გადაიცემა ესა თუ ის ნაკრძალი, მისი მიზნობრივი დანიშნულების შესაბამისად;

გ) შეიმუშაოს და განახორციელოს ღონისძიებანი, რაც დაკავშირებული მცენარეთა და ცხოველთა ბუნების უფრო ძვირფასი ობიექტების დაცვასა, გამრავლებასა და რაციონალურად გამოყენებასთან; აგრეთვე გაუწიოს მეთვალყურეობა უწყებათა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა მუშაობას ამ საკითხების სფეროში და ხელი შეუწყოს მათ ამ მუშაობაში;

დ) განაგოს კომიტეტის უშუალო გამგებლობაში დატოვებული ნაკრძალები.

4. კომიტეტის თავმჯდომარეს, მის მოადგილეს და კომიტეტის წევრებს ამტკიცებს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი პრეზიდიუმი.

5. კომიტეტის აღმასრულებელი ორგანოს ხაზით გამოიყოფა კომიტეტის პრეზიდიუმი შემდეგი შედგენილობით: კომიტეტის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე, პრეზიდიუმის ორი წევრი და მსწავლული მდივანი.

6. თავის ამოცანათა უფრო წარმატებით გადასაწყვეტად კომიტეტს უფლება აქვს:

ა) მოაწყოს თავის შემადგენლობაში მუდმივი და დროებითი კომისიები;

ბ) მოიწვიოს თათბირები და კონფერენციები თავისი გამგებლობის საკითხებზე;

გ) ჩაატაროს ადგილობრივ მოქმედი და პროექტირებული ნაკრძალების შესწავლა და გამოკვლევა და შეაგროვოს სათანადო მასალა;

დ) გამოაქვეყნოს შესწავლისა და გამოკვლევის შედეგები, რაც დაკავშირებულია ბუნებრივ სიმდიდრეთა დაცვის, განვითარებისა და გამოყენების საკითხებთან;

ე) უშუალოდ მიჰმართოს თავისი სახელით უწყებებს, დაწესებულებებს, ორგანიზაციებს და აგრეთვე ცალკეულ პირებს კომიტეტის მოქმედებასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

შენიშვნა. ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებთან ეწყობიან სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმთან არსებული ნაკრძალთა კომიტეტის ბიუროები, რომელთა შედგენილობას ნაკრძალთა კომიტეტთან შეთანხმებით, ამტკიცებენ სათანადო ცენტ

№ ეროვნული ბიბლიოთეკა

ლური აღმასრულებელი კომიტეტები, და რომელნიც მოქმედობენ ნაკრძალთა კომიტეტის დირექტივების მიხედვით.

7. ნაკრძალთა კომიტეტს აქვს ბეჭედი საქართველოს სსრ სახელმწიფო ერბის გამოსახულებით.

კარი II.

ნ ა კ რ ძ ა ლ ე ბ ი.

9. ნაკრძალი ეწოდება ბუნების ისეთ ნაკვეთს ან წარმონაშობ ცალკეულ ორგანს, რაც გამოცხადებულია როგორც ხელუხლებელი. ნაკრძალად გამოცხადებას აქვს შემდეგი მიზანი:

ა) დაიცვას ბუნების ის, ჯერ კიდევ ხელუხლებელი კულტურული ნაკვეთები, რომლებიც გამოხატავენ ბუნებრივ-სამეურნეო რაიონების ტიპურ დამახასიათებელ თვისებებს, რათა შესწავლილ იქნეს პირველყოფილი ბუნებრივი პირობები იმ სახით, როგორიც იყო ეს პირობები, ვიდრე მათ ადამიანის ხელი შეეკვლიდა;

ბ) მიაქციოს სამეურნეო ბრუნვაში ბუნების ნატურალური ნაწარმოებნი, ნსაკუთრებით ისეთნი, რაც ჯერ კიდევ გამოყენებული არ არის ადამიანის ერ;

გ) ყოველმხრივ გამოიყენოს კულტურა-შეუხებელი ბუნების ნაკვეთნი იმ ბუნებრივ პირობათა ცვლილებების შესასწავლად, რაც შეაქვს ადამიანის მოქმედებას.

ამის გარდა, ნაკრძალის დამატებითს ამოცანას შეიძლება შეადგენდეს აგრეთვე წყლის რეჟიმისა, ნორმალური კლიმატური და სანიტარული პირობების დაცვა, ჩვენი ქვეყნის დაცვა და სხვა მისთ., აგრეთვე შეიძლება ნაკრძალი გამოყენებულ იქნეს მშრომელთა დასასვენებლად.

10. სრულ ნაკრძალებად ცხადდება ბუნების ის ნაკვეთები, რომელთა, სათოდ, სამეურნეო გამოყენება ან ბუნებრივი მდგომარეობის ესა თუ ის დაცვა აკრძალულია. სრულ ნაკრძალთან შეიძლება მოეწყოს დაცვითი რაიონი, ამლის ამოცანასაც შეადგენს შექმნას ბუნებრივი ზღუდე სრული ნაკრძალისა-ის. დაცვითი ზონის საკითხს თვითეულ ცალკე შემთხვევაში გადასწყვეტს ნაძალის დამაარსებელი ორგანო (მე-15 მუხლი).

11. ნაწილობრივი ნაკრძალი წარმოადგენს ბუნების ისეთ ნაკვეთს, რომლშიაც ნაკრძალობა ვრცელდება არა მთელ ბუნებაზე, არამედ მხოლოდ მის ნსაზღვრულ ნაწილზე, და ამ ნაწილის მიმართ დაწესულ უნდა იქნეს სრული ნაკრძალობის პირობები.

12. მე-10 და მე-11 მუხლებში აღნიშნული შემთხვევების გარდა, ხელუხლებლად შესანახ საგნად ცხადდება ბუნების ისეთი ნაწარმოები, რომელსაც აქვს მეცნიერო ან კულტურული ღირებულება და რომელსაც გაფუჭება ან განადგურება მოელის.

13. დაცვითად ცხადდება ველური ბუნების ის ნაკვეთები ან მისი ცალკეული ნაწარმოებნი, აგრეთვე სააკლიმატიზაციო პარკები, ბაღები და ხელოვნურად შექმნილი მწვანე ფართობები, რასაც სამეურნეო, სამეცნიერო ან კულტურულ-ისტორიული ღირებულება აქვს და რაც, ამიტომ, საჭიროებს, როგორც დაცვას, ისე განსაკუთრებულ მოვლას, და, ზოგიერთი შეზღუდვით, შეიძლება გამოყენებულ იქნეს სამეურნეო მიზნებისათვის.

14. ყველა ნაკრძალი სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმთან არსებული ნაკრძალთა კომიტეტის გამგებლობაშია, რომელიც ანაწილებს მათ სათანადო ორგანოებს შორის, ნაკრძალის მიზნობრივი დანიშნულების შესაბამისად (მე-3 მუხლის „ბ“ პუნ.), ან სტოვებს თავის უშუალო გამგებლობაში (მე-3 მუხ. „დ“ პუნ.).

15. ბუნების ნაკვეთებისა და ცალკეულ ნაწარმოებთა ნაკრძალებად ან დაცვითად გამოცხადება, მათი საზღვრების და დაცვითი რაიონების დაწესება, აგრეთვე ამ ნაკრძალების შესახებ დებულებათა გამოცემა მოხდება:

ა) საერთო-რესპუბლიკანური მნიშვნელობის მქონე ბუნების ნაკვეთების მიმართ—სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილებით;

ბ) ავტონომიური რესპუბლიკისა და ავტონომიური ოლქის მაშტაბის მნიშვნელობის მქონე ბუნების ნაკვეთების მიმართ—სათანადო ავტონომიური რესპუბლიკის და ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით;

გ) სარაიონო მნიშვნელობის მქონე ბუნების ნაკვეთების მიმართ—სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების ან დამოუკიდებელ საადმინისტრაციო-სამეურნეო ერთეულებად გამოყოფილი ქალაქების საქალაქო საბჭოების დადგენილებით, რაც შეთანხმებულ უნდა იქნეს სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმთან არსებულ ნაკრძალთა კომიტეტთან ან მის ბიუროებთან, რომელნიც იმყოფებიან ავტონომიური რესპუბლიკებსა და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებთან.

ბუნების ნაკვეთების ნაკრძალებად გამოცხადების შესახებ უნდა მოხდეს პუბლიკაცია სათანადო ბეჭდვითს ორგანოში.

16. ბუნების ნაკვეთებისა და ცალკეულ ნაწარმოებთა დაცვითად გამოცხადება სწარმოებს დაინტერესებულ უწყებათა, დაწესებულებათა და თანამდებობის პირთა წარდგენით.

17. სრული ნაკრძალის ასე თუ ისე გამოყენება და ბუნებრივი მდგომარეობის დარღვევა აკრძალულია. ამ წესის გამონაკლისი შეიძლება იმ ორგანოს განსაკუთრებული განკარგულებით, რომლის გამგებლობაშიაც ნაკრძალი, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სტიქიური მოვლენა ან სხვა რამ გამოიწვევს ნაკრძალს ან მის დაცვითს რაიონს საფრთხეს უქადის, ან და როდესაც ამას მოითხოვს ნაკრძალის დაცვის ინტერესი.

18. ნაკრძალის დაცვითი რაიონის ექსპლოატაცია შეიძლება დაინტერესებული ორგანოს შეთანხმებით იმ ორგანოსთან, რომლის გამგებლობაშიაც ნაკრძალია. ნაკრძალის სამეურნეო და სამეცნიერო საჭიროებათათვის დაცვითს რაიონში, დაინტერესებულ უწყებასთან ან ორგანიზაციასთან შეთანხმებით, შეიძლება გამოყოფილ იქნეს განსაკუთრებული მიწის ნაკვეთები.

19. ნაკრძალის წინაშე მდგარი ამოცანების განსახორციელებლად იგი მოეწყობა ან დამოუკიდებელ სამეცნიერო-საკვლევო დაწესებულებად ან და მიმავრებულ იქნება სამეცნიერო დაწესებულებაზე.

20. ნაკრძალთა სამეცნიერო მუშაობა ეკისრება: ა) ნაკრძალის სამეცნიერო გამომუშავეთა შტატს ან ბ) სათანადო სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტს. ამისდაგბამისად ნაკრძალთა კომიტეტმა უნდა დაამყაროს კავშირი სამეცნიერო დაწესებულებათა და ნაკრძალთა შორის და შეათანხმოს მათი მუშაობის გეგმები ნაკრძალებში ბუნების მუდმივი და ყოველმხრივი შესწავლისათვის.

კ ა რ ი III.

21. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წ. ნოემბრის 27-ის დადგენილება „საქართველოს სსრ ბუნებრივ სიმდიდრეთა დაცვისა და განვითარების შესახებ" (საქ. სსრ კან. კრ. 1934 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 31) ძალადაკარულად ჩაითვალოს.

სრ. საქ. ც ა.კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ. ს.კ.ს-ოს თავმჯდომარის მოად. **მ. ტოროშელიძე.**

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივნის მაგ. **კ. ბარბაქაძე.**

1935 წ. თებერვლის 20. №/193.

ტფილისი.

სისხლის სამართალი

42. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

სისხლის სამართლის კოდექსის 63 მუხლისათვის შენიშვნის დამატების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სისხლის სამართლის კოდექსის 63 მუხლს (1933 წ. გამოცემა) დაემატოს შენიშვნა შემდეგი შინაარსისა:

„**შენიშვნა.** ამა მუხლის 1 ლი ნაწილის მოქმედება არა ვრცელდება სასოფლო სამეურნეო გადასახადით დასაბეგრავი შემოსავლის წყაროების

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დამალვის შემთხვევებზე. როდესაც შეფარდებულ უნდა იქნეს ადმინისტრატიული გადასახდელი ამ გადასახადის კანონით დადგენილ ფარგლებში და წესით".

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქ. სსრ. ს.კ.ს-ის თავმჯდომარის მოადგ. მ. ტოროშელიძე.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივნის მაგ. კ. ბარბაქაძე.

35 წ. თებერვლის 20. №/188.

ტფილისი.

---

43. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

...ქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსისათვის 103^{1}-ა მუხლის დამატების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ...ქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსს დაემატოს 103^{1}-ა მუხლი ...ემდეგი შინაარსისა:

„103^{1}-ა. გადასარეკი საქონლისათვის სათანადო წესით დადგენილი სარეკი ...ზებისა და გზად საქონლის საძოვებელი ადგილების მოხვნა გამოიწვევს ჯარიმას ხუთას მანეთამდე."

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქ. სსრ. ს.კ.ს-ის თავმჯდომარის მოადგ. მ. ტოროშელიძე.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივნის მაგ. კ. ბარბაქაძე.

935 წ. თებერვლის 20. №/189.

ტფილისი.

ფასი 20 კაპ.

გამომცემელი — საქ. სსრ. ს.კ. ს-ის საქმეთა მმართველობა — 1935 წ. № 13.3/მ. რედაქტორი პ. ბაქრაძე

...ალალდის ფორმატი 62×94 სანტ; 1 ბეჭდვ. ფურც.; 1 ბეჭდვ. ფურც. 48.500 სტამბ. ნიშანი გადაეცა სტამბას 4/III; ხელმოწერილია დასაბეჭდად 16/III; ტირაჟი 1.800.

...ვ. რწმუნ. № 8725. საქ. სსრ სახ. კომ. საბჭოს სტამბა. შეკვ. № 397